განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა/ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი;

საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სახალხო დამცველს უფლება ეძლევა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება სპეციალური რწმუნებით მიანდოს პირს, რომელიც მისი სახელით სახალხო დამცველის უფლება მოვალეობებათა განხორციელებისას სარგებლობს სახალხო დამცველის ქმედებათა უზრუნველყოფის გარანტიებით.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტი მიზნად ისახავს ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" მომხდარი ცვლილების შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების განხორციელებას, რომლითაც სახალხო დამცველზე ზემოქმედების დასჯადობასთან ერთად დაწესდება დასჯადობა სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედებისათვის

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი;

წარმოდგენილი კანონპროექტით წესდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედებისათვის. კერძდო, სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედება ნებისმიერი ფორმით, მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა/ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს

ბ.ბ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის ზრდას

ბ.გ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას

ბ.ე/ კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, ვისზედაც ერცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტი სასჯელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედებისათვის ნებისმიერი ფორმით, მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

ბ.ვ/კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი /პრინციპი/;
კანონპროექტი არ ითვალისწინებს დადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ/ კანონპროექტის მიმართება საერთ შორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა/ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.ბ/ კანოპნპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ/ კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა/ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშაავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშაევებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა

დ.ბ/კანონპროექტის შმუშაევებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ/ასეთის არსებობის შემთხვევაში

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ/ კანონპოექტის ავტორი
პარლამენტის წევრი ნაზი არონია

დ.დ/ კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრი ნაზი არონია